



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/70

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2025

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის
დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 22 დეკემბერს №0001819859 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (კანცლერი) კარლო კოპალიანმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი, სტუ-ის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. უნივერსიტეტის 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. იგი აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებით ოპერაციების კლასიფიკაციას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას.

უნივერსიტეტის 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლები, 1 იანვრისათვის მოსალოდნელი ნაშთის გათვალისწინებით 64 563 360 ლარით განისაზღვრა. 2025 წლის გეგმაში გათვალისწინებული იყო სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოდან გადმოსაცემი 4 310 310 ლარი, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტში, ობიექტური მიზეზების გამო, ასეთი სახსრები არ არის ასახული.

აღნიშნული თანხის გაუთვალისწინებლად 2026 წლის გეგმა გასული წლის მაჩვენებელზე 2 672 520 ლარით მეტია.

წარმოდგენილი საპროგნოზო შემოსულობები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტით დასაფინანსებელ პროგრამებს და საერთაშორისო გრანტებს, რომელიც ბიუჯეტში აისახება ეტაპობრივად. ასევე, მოხდება სხვა დანარჩენი საპროგნოზო მაჩვენებლების დაზუსტება.

შემოადგენილიდან გამომდინარე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 22 დეკემბრის №0001819859 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 დეკემბრის №01-06-02/16 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტი:

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 64 563 360 ლარით, მათ შორის:

- 1) სწავლის საფასური, რაც სწავლების ყველა საფეხურზე სხვადასხვა წყაროდან, ასევე, 2026-2027 სასწავლო წლისათვის პირველ კურსელთა და მობილობით გადმოსასვლელი კონტინგენტის გათვალისწინებით მისაღები შემოსავლებია და განისაზღვრა 54 168 786 ლარით, რაც 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლების 87,75 %-ია;
- 2) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება მოიცავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსებას, სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის „ცოდნის კარის“ ქვეპროგრამით გამოყოფილ სახსრებს და შეადგენს 39 965 ლარს, რაც ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლის 0,06 %-ია;
- 3) სამეცნიერო - კვლევითი გრანტები შეადგენს 1 294 187 ლარს, რომელიც სსიპ- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებია და დაზუსტდება გამოყენებითი გრანტის 2025 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტებით. სამეცნიერო - კვლევითი გრანტებიდან მისაღები თანხების წილი ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლის მიმართ 2,1 %-ს შეადგენს.

4) კანონმდებლობით ნებადართული სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მოსალოდნელი შემოსავალი 2025 წლისთვის განისაზღვრა 6 231 792 ლარით, კერძოდ:

4.1. „შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან“ შეადგენს 2 695 792 ლარს;

4.2. ხელშეკრულებების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოსა და გასაწევი მომსახურების საფუძველზე მისაღები შემოსავალი შეადგენს 3 000 000 ლარს, რომელიც უნივერსიტეტის თვითდაფინანსების სამეცნიერო -საგანმანათლებლო ცენტრებს მოიცავს;

4.3. „სხვა მიმდინარე შემოსავალი, რომელიც მოიცავს ნებაყოფლობით ტრანსფერებს, რომელსაც კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები საწარმოები და კორპორაციები გადასცემენ სახელმწიფოს“ განისაზღვრა 536 000 ლარით, საიდანაც 236 000 ლარი ს.ს. საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის პროექტით გათვალისწინებული დაფინანსებაა.

II. გადასახდელები განისაზღვროს შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად 64 563 360 ლარით, რომელიც პროგრამების მიხედვით შეადგენს:

1) უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 01) 18 403 435 ლარი;

2) უმაღლესი განათლება (ფაკულტეტები) (პროგრამული კოდი 01 02) 32 202 930 ლარი;

3) სტუდენტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 03) - 219 580 ლარი;

4) მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 04) - 4 575 142 ლარი;

5) პროფესიული განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 01 05) 2 583 123 ლარი;

6) კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 06) - 621 820 ლარი;

7) ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 01 07) 5 957 330 ლარი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე